

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მეცნიერის პირადი ანკეტის ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქცია

ზოგადი ინფორმაცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის მეცნიერი უნდა დარეგისტრირდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში და შეავსოს პირადი ანკეტა.

მეცნიერის რეგისტრაცია ფონდის ბაზაში მხოლოდ ერთხელ არის საჭირო. რეგისტრაციის შემდეგ თქვენ გექნებათ ფონდის ბაზაში პირადი ანკეტა / შევსებული ავტობიოგრაფიის ფორმა და შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ფონდის სხვადასხვა კონკურსში. ყოველ ახალ კონკურსში მონაწილეობისათვის ისარგებლებთ ფუნქციით „პროექტის დამატება“, ხოლო ინფორმაცია პირადი პროფესიული ბიოგრაფიიდან შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ანკეტიდან. საჭიროების შემთხვევაში, გაქვთ საშუალება განაახლოთ ანკეტა, შეიტანოთ ინფორმაცია ახალი პუბლიკაციების, სამუშაო გამოცდილების და ა.შ. შესახებ, ყოველი კონკრეტული კონკურსისათვის გამოიყენოთ ის ინფორმაცია თქვენი ანკეტიდან, რაც შესაბამისი კონკურსისათვის აუცილებლად მიგაჩნიათ (მაგალითად, აირჩიოთ კონკრეტული კონკურსისათვის თქვენი აზრით ყველაზე შესაფერისი პუბლიკაციები და ა.შ.).

ინსტრუქცია

ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციისათვის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე (www.rustaveli.org.ge), მარჯვენა მხარეს უნდა დააჭიროთ ლილავს „მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია“.

თუ უკვე დარეგისტრირებული ხართ, უნდა გაიაროთ ავტორიზაცია, რათა შეხვიდეთ თქვენს ანგარიშზე და გააგრძელოთ მუშაობა.


ავტორიზაციისათვის უნდა შეიყვანოთ თქვენი ელფოსტის მისამართი და პაროლი – რომლითაც დარეგისტრირდით ფონდის ბაზაში.

თუ ჯერ არ ხართ დარეგისტრირებული, უნდა გაიაროთ რეგისტრაცია.

წაიკითხეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის პირობები.

ფონდის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციისათვის და ანგარიშის შესაქმნელად აუცილებელია, დაეთანხმოთ ელექტრონული სისტემის მოხმარების პირობებს.

იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებით ელექტრონული რეგისტრაციის პირობებს - დააჭირეთ ღილაკს „ვეთანხმები“, და განაგრძეთ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია.



ეკრანზე გამოჩნდება ნაბიჯი 1.

ნაბიჯი 1

პერსონალური მონაცემები

შენიშვნა: ვარსკვლავით მონიშნული ველების შევსება სავალდებულოა.

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

შეავსეთ ყველა ველი. სახელი და გვარი უნდა მიუთითოთ ქართულად და ინგლისურად. ენის შეცვლა შეგიძლიათ როგორც თქვენი კომპიუტერის შესაბამის ენაზე გადართვით, ასევე ელექტრონული ანკეტის ყველა ნაბიჯზე განთავსებული ღილაკის - „ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა“ მეშვეობით.

ჩაწერეთ შესაბამის ველებში პირადი ნომერი, მიუთითეთ სქესი – მიიტანეთ კურსორი ღილაკთან მამ. (მამრობითი) ან მდ. (მდედრობითი), დააწკაპუნეთ და ღილაკი მოინიშნება.

თარიღის მოსანიშნად დააჭირეთ ლურჯ სამკუთხედს, გამოჩნდება კალენდარი, სადაც უნდა მონიშნოთ თვე, წელი და რიცხვი. მიიტანეთ კურსორი თვის აღმნიშვნელ ველთან, დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშით და გამოჩნდება თვეების ჩამონათვალი, აირჩიეთ სიიდან თვე, დააწკაპუნეთ და თვე მოინიშნება. მიიტანეთ კურსორი წლის აღმნიშვნელ ველთან, დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშით და გამოჩნდება სია. მონიშნეთ შესაბამისი წელი, დააწკაპუნეთ და წელი მოინიშნება. დააწკაპუნეთ დაბადების თარიღის შესაბამის რიცხვზე. თარიღის სამივე კომპონენტის მონიშვნის შემდეგ კალენდარი გაქრება და სათანადო ველში გამოჩნდება თქვენ მიერ შერჩეული თარიღი (ლურჯ სამკუთხედზე მეორედ დაწკაპუნების შემთხვევაში, კალენდარი გაქრება ველების მონიშვნამდეც. თუ წელი ან თვე შეგეშალათ და თავიდან გსურთ არჩევა, რიცხვიც თავიდან უნდა მონიშნოთ).

დაიმახსოვრეთ პაროლი, რომელსაც მიუთითებთ. რეგისტრაციის გავლის შემდეგ მიიღებთ ავტომატურ შეტყობინებას თქვენს ელფოსტაზე, სადაც მითითებული იქნება თქვენი პაროლი. იმ შემთხვევაში, თუკი დაგავიწყდებათ პაროლი, მისი აღდგენა შესაძლებელია პირადი ნომრისა და რეგისტრაციისას მითითებული ელფოსტის მეშვეობით. ამისათვის გამოიყენებთ ღილაკს „პაროლის აღდგენა“ ვებგვერდის მთავარი გვერდიდან.

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ყურადღება! არასრულად გავლილი რეგისტრაციის შემთხვევაში, თქვენ მიერ შეტანილი მონაცემები არ იკარგება – თუ დაეთანხმეთ ფონდის ელექტრონული რეგისტრაციის პირობებს და დარეგისტრირდით – შეავსეთ პირველი ნაბიჯი და დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“, შეგიძლიათ მოგვიანებით განაგრძოთ ანკეტის შევსება. ანკეტის შევსების გაგრძელება შესაძლებელია ყოველი ნაბიჯის შემდეგ. ასევე, შესაძლებელია უკვე შეტანილი ინფორმაციის რედაქტირება.

ელექტრონული სისტემა ველებში შეტანილ ინფორმაციას იმახსოვრებს მხოლოდ მაშინ, როდესაც დააწვებით ღილაკს – „გაგრძელება“. შესაბამისად, რომელიმე ნაბიჯი თუკი მხოლოდ სანახევროდ შეავსეთ, ამ ნაბიჯს სისტემა არ დაიმახსოვრებს და შევსება ამავე ნაბიჯიდან უნდა განაგრძოთ.

თუ აგრძელებთ რეგისტრაციას, დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“ და ეკრანზე გამოჩნდება ნაბიჯი 2.

ნაბიჯი 2

პერსონალური მონაცემები

მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, ტელეფონი, ინტერნეტის ვებგვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 3

პროფესიული მოღვაწეობა

სამეცნიერო /აკადემიური ხარისხის მისაბრუნებლად მიიტანეთ კურსორი ველის გასწვრივ ისართან, აირჩიეთ მოცემული სიიდან თქვენი ხარისხი ან მონიშნეთ კატეგორია „სხვა“ და მარჯვნივ შესაბამისი ველი შეავსეთ თავად.

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

პროფესიული მოღვაწეობა

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

სამეც. / აკად. ხარისხი: *

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა:

სამეცნიერო კვლევის მიმართულება: **სხვა**

ველის მიმართულება 1 *

სამეცნიერო კვლევის მიმართულებები

პირველი ველის შესავსებად მიიტანეთ კურსორი ველის გასწვრივ ისართან და აირჩიეთ სიიდან სამეცნიერო კვლევის მიმართულება. დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშით და თქვენი მიერ არჩეული მიმართულება ჩაიწერება შესავსებ ველში.

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

პროფესიული მოღვაწეობა

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

სამეც. / აკად. ხარისხი: * დოქტორი

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა:

სამეცნიერო კვლევის მიმართულებები

ველის მიმართულება 1 *

ველის ქვემიმართულება 1 *

ველის მიმართულება 2

ველის ქვემიმართულება 2

ველის მიმართულება 3

ველის ქვემიმართულება 3

- 1 ქართველოლოგია
- 2 ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, ეკონომიური მეცნიერებები
- 3 საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები
- 4 საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები
- 5 მათემატიკური მეცნიერებები
- 6 **ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები**
- 7 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
- 8 სამედიცინო მეცნიერებები
- 9 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო
- 10 აგრარული მეცნიერებები

მეორე ველის შესავსებად მიიტანეთ კურსორი ველის გასწვრივ ისართან და მონიშნეთ სიაში სამეცნიერო კვლევის ქვემიმართულება. დააწკაპუნეთ მარცხენა კლავიშით და თქვენ მიერ არჩეული მიმართულება / ქვემიმართულება ჩაიწერება შესავსებ ველში.

შეგიძლიათ მიუთითოთ სამი მიმართულება/ქვემიმართულება.

ყურადღება! თუკი წარმოდგენილ სიაში არ არის თქვენი კონკრეტული ქვემიმართულების /ვიწრო სპეციალიზაციის სახელწოდება, ველებში: კვლევის მიმართულება 2– და კვლევის მიმართულება 3–ში შეგიძლიათ აირჩიოთ სამეცნიერო კვლევის მიმართულება, მომდევნო ველში – ქვემიმართულება კი აირჩიეთ კატეგორია „სხვა“. აღნიშნული არ ეხება კვლევის მიმართულება 1-ს.

საკვანძო სიტყვები

ქართულ და ინგლისურ ენაზე მიუთითეთ თქვენი სამეცნიერო კვლევის შესაბამისი საკვანძო სიტყვები (ეს შესაძლოა იყოს ვიწრო სპეციალიზაციის სახელწოდებაც). ქართული/ინგლისური ენის შესაცვლელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ვებგვერდის ზედა მარცხენა მხარეს არსებული ღილაკი – ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა.

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 4

განათლება

შეავსეთ ველები თქვენი განათლების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ - ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ თქვენი პროექტების შეფასებისას, ქართველ ექსპერტს გადაეგზავნება ქართულად შევსებული ინფორმაცია, უცხოელ ექსპერტს კი – ინგლისურად შევსებული ინფორმაცია. შესაბამისად, ქართულად და ინგლისურად შევსებული ველები ერთსა და იმავე ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

საჭიროების შემთხვევაში, დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. დამატებული სტრიქონების წაშლა შესაძლებელია ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული შესაბამისი ღილაკის („წაშლა“) მეშვეობით.

ახალი ამბები	ჩემი პროექტები	ანკეტის ნახვა	პროექტის დამატება	გახდით ექსპერტი	გახვლა
პრესცენტრი	ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13				
საერთაშორისო პარტნიორობა	განათლება				
ჩვენი პუბლიკაციები	<input type="checkbox"/> ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა				
არქივი		უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები
	1	ქართულად:			
	*	ინგლისურად:			
		<input type="button" value="სტრიქონის დამატება"/>			
	<input type="button" value=" << უკან"/>				<input type="button" value="გაგრძელება >>"/>

გთხოვთ, შეავსოთ წლების მიხედვით დადმავალი პრინციპით – დაიწყეთ ყველაზე ახალი ინფორმაციით და შემდეგ დაამატეთ წინა წლების ინფორმაცია. (მაგ. ჯერ 2011 წლის, შემდეგ 2009, შემდეგ 2007 და ა.შ.).

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 5

ტრენინგები

ნაბიჯი: 1 2 3 4 **5** 6 7 8 9 10 11 12 13

ტრენინგები

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

	კურსის დასახელება	ტრენინგის ჩატარების ადგილი და ორგანიზაცია	წელი	წამლა
ქართულად:				
1				✗
ინგლისურად:				

სტრიქონის დამატება

<< უკან გაგრძელება >>

შეავსეთ ინფორმაცია გავლილი ტრენინგების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე. საჭიროების შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. დამატებული სტრიქონების წაშლა შესაძლებელია ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული შესაბამისი ღილაკის მეშვეობით.

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 6

სამუშაო გამოცდილება

შეავსეთ ველები თქვენი სამუშაო გამოცდილების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ - ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ თქვენი პროექტების შეფასებისას, ქართველ ექსპერტს გადაეგზავნება ქართულად შევსებული ინფორმაცია, უცხოელ ექსპერტს კი - ინგლისურად შევსებული ინფორმაცია. შესაბამისად, ქართულად და ინგლისურად შევსებული ველები ერთსა და იმავე ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

თუკი გჭირდებათ ერთზე მეტი დაწესებულების მითითება, დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დამატებული სტრიქონების წაშლა ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული შესაბამისი ღილაკის მეშვეობით.

გთხოვთ, შეავსოთ წლების მიხედვით დადმავალი პრინციპით - დაიწყოთ ყველაზე ახალი ინფორმაციით და შემდეგ დაამატეთ წინა წლების ინფორმაცია. (მაგ. ჯერ 2011 წლის, შემდეგ 2009, შემდეგ 2007 და ა.შ.).

ახალი ამბები	ჩემი პროექტები	ანკეტის ნახვა	პროექტის დამატება	გახდით ექსპერტი	გახვლა
პრესცენტრი	ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13				
საერთაშორისო პარტნიორობა	სამუშაო გამოცდილება				
ჩვენი პუბლიკაციები	<input type="checkbox"/> ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა				
არქივი		ორგანიზაციის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	წლები
	ქართულად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
	ინგლისურად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
	<input type="button" value="სტრუქტურის დამატება"/>				
	<input type="button" value=" << უკან"/>		<input type="button" value=" გაგრძელება >>"/>		

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 7

პუბლიკაციები

მიუთითეთ თქვენი პუბლიკაციების რაოდენობა და ციტირების ინდექსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შეავსეთ დაწვრილებით ინფორმაცია თქვენი პუბლიკაციების შესახებ. მიუთითეთ პუბლიკაციის ელექტრონული მისამართიც – ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

ფონდის სხვადასხვა კონკურსისათვის შესაძლებლობა გექნებათ მიუთითოთ ის პუბლიკაციები, რომლებიც შესაბამისი კონკურსისათვის მიზანშეწონილად მიგაჩნიათ.

თუკი პუბლიკაცია მხოლოდ უცხო ენაზეა გამოქვეყნებული და პუბლიკაციის / თქვენი სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მიგაჩნიათ აუცილებლად ქართულად პუბლიკაციის შესახებ ინფორმაციის თარგმნა, შეგიძლიათ პუბლიკაციის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეიტანოთ. მას შემდეგ, რაც დააჭერთ ღილაკს „გაგრძელება“, ელექტრონული პროგრამა ავტომატურად შეიტანს იმავე ინფორმაციას პუბლიკაციის ქართული მონაცემებისათვის განკუთვნილ ველებში. ამ შემთხვევაში ქართველი ექსპერტიც ინგლისურ ენაზე შევსებულ ინფორმაციას მიიღებს. თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად მისაღები იქნება ინფორმაციის მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიღება თქვენი პროექტის ქართველი ექსპერტისათვის თქვენი სამეცნიერო მიმართულების/ სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუკი პუბლიკაცია არის ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენაზე, თქვენი პუბლიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგიძლიათ შეავსოთ არსებულ ველებში ინფორმაცია პუბლიკაციის შესახებ როგორც ინგლისურად/ქართულად, ასევე, იმ ენაზე, რომელზეც გამოქვეყნებულია თქვენი ნაშრომი. (ქართულის შესაბამის ველში ქართულად და იმ ენაზე, რა ენაზეც დაბეჭდილია პუბლიკაცია, ინგლისურის შესაბამის ველში – ინგლისურად და იმ ენაზე, რა ენაზეც დაბეჭდილია პუბლიკაცია).

პუბლიკაციის შესახებ ინფორმაციის ინგლისურ ენაზე შევსება სავალდებულოა.

აღნიშნული ნაბიჯის მხოლოდ ქართულად შევსების შემთხვევაში, შემდგომ შემდეგ ნაბიჯზე გადასვლას, მაგრამ პროგრამა ამ ინფორმაციას არ დაიმახსოვრებს.

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 **7** 8 9 10 11 12 13

პუბლიკაციები

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

სულ პუბლიკაციების რაოდენობა: *

ციტირების ინდექსი:

პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან / მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები:

	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი	წაშლა
ქართულად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="checkbox"/>
1 ინგლისურად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input checked="" type="checkbox"/>

<< უკან გაგრძელება >>

ყოველი მომდევნო პუბლიკაციის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“.

გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, ანკეტაში შეიტანოთ უახლესი პუბლიკაციები, ვინაიდან ფონდის რიგ კონკურსებში უახლესი 5/10 წლის პუბლიკაციების ჩამონათვალია მოთხოვნილი.

დასასრულ, დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 8

პატენტები/ გამოგონებები

შეავსეთ ინფორმაცია თქვენი პატენტების/ გამოგონებების შესახებ – ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

ერთზე მეტი პატენტის/გამოგონების შესატანად დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დამატებული სტრიქონების წაშლა.

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 **8** 9 10 11 12 13

პატენტები (გამოგონებები)

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

	პატენტის დასახელება	პატენტის გამომცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი	წაშლა
ქართულად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="checkbox"/>
1 ინგლისურად:	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input checked="" type="checkbox"/>

<< უკან გაგრძელება >>

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 9

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

შეავსეთ ინფორმაცია თქვენი მონაწილეობით/ხელმძღვანელობით შესრულებული სამეცნიერო საგრანტო პროექტების შესახებ.

	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	წელი	წაშლა
ქართულად:					✖
1 ინგლისურად:					

ფონდის სხვადასხვა კონკურსისათვის შესაძლებლობა გექნებათ გამოიყენოთ ის ინფორმაცია, თქვენი მონაწილეობით შესრულებული გრანტებიდან, რაც შესაბამისი კონკურსისათვის აუცილებლად მიგაჩნიათ (მაგალითად, აირჩიოთ კონკრეტული კონკურსისათვის თქვენი აზრით ყველაზე შესაფერისი სამეცნიერო პროექტ(ებ)ი).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ – ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ თქვენი პროექტების შეფასებისას, ქართველ ექსპერტს გადაეგზავნება ქართულად შევსებული ინფორმაცია, უცხოელ ექსპერტს კი – ინგლისურად შევსებული ინფორმაცია. შესაბამისად, ქართულად და ინგლისურად შევსებული ველები ერთსა და იმავე ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

თუკი სამეცნიერო გრანტის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მიგაჩნიათ აუცილებლად ქართულად ინფორმაციის თარგმნა, შეგიძლიათ ინფორმაცია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეიტანოთ. მას შემდეგ, რაც დააჭერთ ღილაკს „გაგრძელება“, ელექტრონული პროგრამა ავტომატურად შეიტანს იმავე ინფორმაციას ქართულ ველებში. ამ შემთხვევაში ქართველი ექსპერტიც ინგლისურ ენაზე შევსებულ ინფორმაციას მიიღებს. თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად მისაღები იქნება ინფორმაციის მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიღება თქვენი პროექტის ქართველი ექსპერტისათვის თქვენი სამეცნიერო მიმართულების/ სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინფორმაციის ინგლისურ ენაზე შევსება სავალდებულოა. აღნიშნული ნაბიჯის მხოლოდ ქართულად შევსების შემთხვევაში, შემდეგ ნაბიჯზე გადასვლას, მაგრამ პროგრამა ამ ინფორმაციას არ დაიმახსოვრებს.

საჭიროების შემთხვევაში, დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დამატებული სტრიქონების წაშლა.

გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, ანკეტაში შეიტანოთ ინფორმაცია უახლესი სამეცნიერო გრანტების შესახებ ვინაიდან ფონდის რიგ კონკურსებში უახლესი 5/10 წლის სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალია მოთხოვნილი.

გთხოვთ, შეავსოთ წლების მიხედვით დადმავალი პრინციპით – დაიწყეთ ყველაზე ახალი ინფორმაციით და შემდეგ დაამატეთ წინა წლების ინფორმაცია. (მაგ. ჯერ 2011 წლის, შემდეგ 2009, შემდეგ 2007 და ა.შ.).

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 10

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობა

შეავსეთ ინფორმაცია თქვენ მიერ სამეცნიერო ფორუმებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონგრესებში მონაწილეობის შესახებ.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ – ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ თქვენი პროექტების შეფასებისას, ქართველ ექსპერტს გადაეგზავნება ქართულად შევსებული ინფორმაცია, უცხოელ ექსპერტს კი – ინგლისურად შევსებული ინფორმაცია. შესაბამისად, ქართულად და ინგლისურად შევსებული ველები ერთსა და იმავე ინფორმაციას უნდა შეიცავდეს.

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (კონფერენციებში) მონაწილეობა

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

	ლონისძიების დასახელება	მოსვენების სათაური	ლონისძიების ჩატარების ადგილი	წელი	წაშლა
ქართულად:					
1					X
ინგლისურად:					

სტრიქონის დამატება

<< უკან გაგრძელება >>

თუკი სამეცნიერო კონფერენციის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მიგაჩნიათ აუცილებლად ქართულად ინფორმაციის თარგმნა, შეგიძლიათ ინფორმაცია მხოლოდ ინგლისურ ენაზე შეიტანოთ. მას შემდეგ, რაც დააჭერთ ღილაკს „გაგრძელება“, ელექტრონული პროგრამა ავტომატურად შეიტანს იმავე ინფორმაციას ქართულ ველში. ამ შემთხვევაში ქართველი ექსპერტიც ინგლისურ ენაზე შევსებულ ინფორმაციას მიიღებს.

თქვენ თავად უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად მისაღები იქნება ინფორმაციის მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიღება თქვენი პროექტის ქართული ექსპერტისათვის თქვენი სამეცნიერო მიმართულების/ სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინფორმაციის ინგლისურ ენაზე შევსება სავალდებულოა. აღნიშნული ნაბიჯის მხოლოდ ქართულად შევსების შემთხვევაში, შემდეგ ნაბიჯზე გადასვლას, მაგრამ პროგრამა ამ ინფორმაციას არ დაიმახსოვრებს.

საჭიროების შემთხვევაში, დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და ეკრანზე გამოჩნდება დამატებითი სტრიქონები. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ დამატებული სტრიქონების წაშლა.

გთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, ანკეტაში შეიტანოთ ინფორმაცია უახლესი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ, ვინაიდან ფონდის რიგ კონკურსებში უახლესი 5/10 წლის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის ინფორმაციაა მოთხოვნილი.

გთხოვთ, შეავსოთ წლების მიხედვით დადმავალი პრინციპით – დაიწყეთ ყველაზე ახალი ინფორმაციით და შემდეგ დაამატეთ წინა წლების ინფორმაცია. (მაგ. ჯერ 2011 წლის, შემდეგ 2009, შემდეგ 2007 და ა.შ.).

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 11

უცხო ენების ცოდნა

შეავსეთ ინფორმაცია უცხო ენების ფლობის შესახებ. უცხო ენის დასახელება ჩაბეჭდეთ თავად, ცოდნის დონის ასარჩევად კი მიიტანეთ კურსორი ისართან და ჩამოშლილი სიიდან აირჩიეთ დონე. უცხო ენის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“.

სტრიქონის დამატება

ენის დასახელება:	უცხო ენების ცოდნის დონე	წაშლა
1	-----	X
2	-----	X

დაწვეუები
ლექსიკონით
სამუალოდ
კარგად
თავისუფლად

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 12

დამატებითი ინფორმაცია

სამეცნიერო ორგანიზაციების, საბჭოებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრობა:

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

დამატებითი ინფორმაცია

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

სამეცნიერო ორგანიზაციების, საბჭოებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრობა:

	ორგანიზაციის დასახელება	სტატუსი	წლები	წამლა
ქართულად:				
1				✗
ინგლისურად:				

სტრიქონის დამატება

<< უკან გაგრძელება >>

შეავსეთ შესაბამისი ველები ქართულ და ინგლისურ ენებზე. საჭიროების შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და შეავსეთ დამატებითი ველები. დამატებითი ინფორმაციის მხოლოდ ერთ ენაზე შევსების შემთხვევაში პროგრამა ამ ინფორმაციას არ დაიმახსოვრებს.

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

ნაბიჯი 13

დამატებითი ინფორმაცია

პრესცენტრი

საერთაშორისო პარტნიორობა

ჩვენი პუბლიკაციები

არქივი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13

დამატებითი ინფორმაცია

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

სტიპენდიები ქართულად:

სტიპენდიები ინგლისურად:

ჯილდოები ქართულად:

ჯილდოები ინგლისურად:

<< უკან გაგრძელება >>

შეავსეთ შესაბამისი ველები ქართულ და ინგლისურ ენებზე. საჭიროების შემთხვევაში დააჭირეთ ღილაკს „სტრიქონის დამატება“ და შეავსეთ დამატებითი ველები. დამატებითი ინფორმაციის მხოლოდ ერთ ენაზე შევსების შემთხვევაში პროგრამა ამ ინფორმაციას არ დაიმახსოვრებს.

მომდევნო ნაბიჯზე გადასასვლელად დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.

13 ნაბიჯის შევსების შემდეგ მეცნიერის რეგისტრაცია დასრულებულია.

ეკრანზე გამოჩნდება წარწერა **რეგისტრაცია წარმატებით დასრულდა.**

რეგისტრაციის დასტურად ელფოსტის მისამართზე მიიღებთ წერილს. გთხოვთ, **”inbox”** ფოლდერთან ერთად შეამოწმოთ თქვენი ელფოსტის **”spam”** ფოლდერიც და, მომავალში პაროლის შეხსენების მიზნით, არ წაშალოთ წერილი.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბაზაში თქვენი ანკეტის სანახავად, რედაქტირებისთვის და საგრანტო განაცხადების რეგისტრაციისათვის ესტუმრეთ ფონდის ვებგვერდს: www.rustaveli.org.ge – მარჯვენა ზედა კუთხეში შეავსეთ თქვენი ელფოსტა და პაროლი და გაიარეთ ავტორიზაცია.

უკვე შევსებული ანკეტის მთლიანობაში სანახავად დააჭირეთ ლილავს „ანკეტის ნახვა“.

ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ანკეტაში შეტანილი ინფორმაციის რედაქტირება სრულად ან ნაბიჯების მიხედვით. რედაქტირებისთვის ანკეტაში, ეკრანის მარჯვენა მხარეს დააჭირეთ ლილავს – „რედაქტირება“.



ყველა ნაბიჯის შევსების და რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, შეგიძლიათ დააჭიროთ ლილავს „პროექტის დამატება“. ეკრანზე გამოჩნდება მოცემული დროისათვის ფონდში მიმდინარე საგრანტო კონკურსების ნუსხა. აირჩიეთ სასურველი კონკურსი და დაარეგისტრირეთ თქვენი საგრანტო პროექტი.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

შთავარი | ფონდის შესახებ | კონკურსები და პროგრამები | შეფასება | მონიტორინგი | ჩვენი გრანტიორები

პროექტის დამატება

აირჩიეთ კონკურსის ტიპი
ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები >>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გისურვებთ წარმატებას!